

## სეპარატისტული მოძრაობა სამეგრელოში

საქართველოს ერთ-ერთი კუთხის, სამეგრელოს წარმომადგენლებს სეპარატისტებად მოიხსენიებენ ან მოიაზრებენ. იმის შესახებ, თუ რამ შეიძლება გამოიწვიოს ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფში ერთიანი სახელმწიფოდან გამოყოფის სურვილი, სხვადასხვა აზრი არსებობს. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია საერთო კულტურული ღირებულებები, ტრადიციები და ენის, რელიგიისა და ისტორიის ფაქტორები. რომელმა მათგანმა განაპირობა ე.წ სეპარატიზმის წარმოშობა სამეგრელოში? ამ ჩამონათვალიდან თავიდანვე უნდა გამოირიცხოს კულტურული ღირებულებები, ტრადიციები და რელიგია. პირველი განხეთქილების მიზეზი ვერ გახდებოდა, რადგან განსხვავება არ არის იმდენად შესამჩნევი და საგრძნობი, რომ სეპარატიზმის პროცესი მოახდინოს. საერთო ქართველური კულტურის ამოსავალი კოლხური კულტურაა, ხოლო ტრადიციები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში თითქმის მსგავსია. რაც შეეხება რელიგიას, მეგრელებიც, ისევე როგორც დანარჩენი ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან. ისტორიოგრაფიულ წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიგარაუდოთ, რომ ქრისტიანული თემები აქ უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე საქართველოს სხვა ტერიტორიაზე. რელიგიის შეცვლისა და ქრისტიანობისაგან განდგომის სურვილი მეგრელებს არასდროს გასჩენიათ. ასე რომ, ამ ნიადაგზე კონფლიქტის წარმოქმნის ალბათობა არ არსებობდა და არც ამჟამად არსებობს. შემდეგი ფაქტორია ისტორია. რადგან ის მაჩვენებელია იმისა, თუ რა გზა გამოიარა ამა თუ იმ ეთნოსმა დღემდე, განვითარების განმასხვავებელ ნიშნებს სწორედ მასში ეძებენ. ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება იმის თქმა, რომ სამეგრელოს ისტორიული განვითარების ხაზი მკვეთრად იყოს დაცილებული, საქართველოში მიმდინარე საერთო ისტორიულ პროცესებს. სამეგრელოს ისტორიაში დაფიქსირებულ ისეთ მოვლენას და ფაქტს ვერ წააწყდებით, რომელიც სხვა კუთხისთვის იყოს უცხო. მეგრლთა ისტორია რაიმე განმასხვავებელ, ინდივიდუალურ ნიშანს არ შეიცავს. მაშინ რა ეტაპზე უნდა ვეძიოთ ე.წ მეგრული სეპარატიზმის ჩანასახი ისტორიაში?

შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ სეპარატისტული იდეების აღმოცენების ნიადაგი მომზადდა მაშინ როცა ქვეყანა სამთავროებად დაიშალა და შეიქმნა სამეგრელოს სამთავრო(მთავრის ტიტული 1550 წლიდან ჩნდება. მთავარი თავის სამფლობელოში პრაქტიკულად მეფეა, მხოლოდ ამ ტიტულს არ ატარებს), ხოლო სეპარატიზმის თესლის ჩამდები გახდა ოდიშის რიგით მესამე მთავარი ლევან II დადიანი(1611-1657). ლევან II მეტად თავისებური და კოლორიტული ფიგურა გახლდათ

გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში. როგორც სიმონ ჯანაშია აღნიშნავს, ოდიშის სამთავრომ ლევან II დროს “მანმადე არნახულსა და შემდგომ აღარ განმეორებულ ძლიერებას” მიაღწია. მას დასავლეთ საქართველოს სრული გაერთიანება სურდა. სწორედ ამიტომ მისი მოღვაწეობის პირველ წლებში არსებულ სიმშვიდეს მალე ცვლის განდიდებისა და პირველობის სურვილით გამოწვეული შფრთი და არეულობა. ერთ ძლოკად შეკრული თდიში, გურია და აფხაზეთი იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის წინააღმდეგ ილაშქრებენ, ხოლო მას შემდეგ, რაც გარკვეულ მიზეზთა გამო იმერეთის მეფე განდევნის თავად წულუკიძეს, ხოლო ეს უკანასკნელი კი ოდიშის მთავარს შეეხიზნება, ლევან II აშკარად იდებს მეფის საწინააღმდეგო კურსს, მას ემხრობიან გურიის და აფხაზეთის მთავრებიც, ხოლო იმერეთის მეფეს ზურგს უმაგრებს თეიმურაზ I (სწორედ მისი ინიციატივით მიმართა ალექსანდრე III რუსეთს დახმარებისათვის). გაუთავებელმა დაპირისპირებამ იმერეთთან შეაფერხა ოდიშის სამთავროს განვითარების სწრაფი ტემპი, თუმცა ლევან II-ს თავისი იდების განხორციელებაში სულ სხვა რამემ შეუშალა ხელი.

XVI საუკუნეში აფხაზეთში ეთნიკური ცვლილებები იწყება. თითქმის დაცარიელებულ ბარში ჩრდ. კავკასიის მთებიდან ჩამოსვლას იწყებენ ადიღეური წარმოშობის ტომები. შარვაშიძეები მათ სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევენ, თუმცა ამავდროულად ცდილობენ მათ გამოყენებას საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად. აფხაზეთში დამკვიდრების შემდეგ ისინი ოდიშისკენ მოიწევენ. მთიელებზე დაყრდნობით აფხაზი წარჩინებულები კოდორსა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიის დაპატრონებას ცდილობენ. ასეთ ვითარებაში ლევან II იძულებული გახდა თავის პირვანდელ გეგმებზე უარი ეთქვა და თავდაცვაზე გადასულიყო. მთელ ძალისხმევას იგი ჩრდილო-დასავლეთის საზღვრების გამაგრებას ახმარდა, რადგან მართებულად ფიქრობდა, რომ კელასურის ზღუდეების მოშლის შემთხვევაში მომხდურების შეჩერება შეუძლებელი იქნებოდა. ლევან II-ის მოღვაწეობის პერიოდში ოდიშის სამთავრო მაინც ინარჩუნებდა ძლიერებას. აღსანიშნავია, რომ ის ზრუნავდა თავისი სამთავროს ევროპის ქვეყნებთან დაახლოებისთვის. მან ევროპელებთან ერთად შეიმუშავა ირანული და ქართული აბრეშუმის ოდიშის გზით ევროპაში გატანის პროექტი. ამ სავაჭრო მოლაპარაკებებში ჩართული იყვნენ რომის პაპის წარმომადგენლები, ირანი, იტალია, პოლონეთი, ვენეციის რესპუბლიკა. ლევან II-ის მარჯვენა ხელი ევროპელებთან ურთიერთობაში იყო კათოლიკე მისიონერი ნიკიფორე ირბახი. ასეთი გაძლიერების ლოგიკური შედეგი აბსოლუტური დამოუკიდებლობაა და შეიძლება გამოითქვას აზრი, რომ ლევან II-ის პოლიტიკის ფარული მიზნები სწორედ სეპარატისმს უკავშირდებოდა. ჩვენ ეს

შეხედულება არასწორად მიგვაჩნია, ვინაიდან სამთავროებად დაყოფა თავისთავად ქმნიდა ერთმანეთისაგან განსხვავებული ფორმით განვითარების აუცილებლობას. საკუთარი სამთავროს გაძლიერების და იქ სრულად გაბატონების დიდ სურვილს არც ერთი მთავარი არ იყო მოკლებული. ერთი სიტყვით ეს იყო ქართველთათვის დამახასიათებელი ბრძოლა პეგემონობისათვის. სეპარატისტული მიდრეკილებები იმ დროისათვის(და არა მხოლოდ) საერთო ქართულ მოვლენას წარმოადგენდა. ამიტომ ლევან II-ის გამორჩევა საერთო სურათიდან მიზანშეუწონდად მიგვაჩნია და სეპარატიზმის სენის ძიება იმ ეტაპზე უმართებულოდ.

სეპარატისტული იდეოლოგიის აღმოცენების და განვითარების ჩანასახი უნდა ვეძიოთ სამეგრელოს სამთავროს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის შემდეგ. ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სეპარატისტული მოძრაობის აღმოცენებით სამეგრელოში, რუსეთი ხელთ იგდებდა ევექტურ იარაღს საქართველოში მისთვის სასურველი პოლიტიკის გასატარებლად. პირველი მცდელობა სეპარატიზმის გადვივებისა დაკავშირებული იყო ენის ფაქტორთან. რადგან ენა შეიცავს საგნებისა და მოვლენებისადმი გარკვეულ დამოკიდებულებას, ლირებულებებსა და გამოხატვის ფორმებს, ამოტომ ერთ ენაზე მოსაუბრეთა შორის მსგავსებისა და საერთო ჯგუფებისადმი კუთვნილების შეგრძნებას იწვევს. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსულ უურნალ-გაზეთები გამოჩნდა წერილები, რომლებიც მიმართული იყო ქართველი ერის დაშლა-დანაწილებისაკენ. სამეგრელოში კრცელდებოდა ხმები, რომ მეგრული ენა იყო ქართველებისა და მეგრელების დიფერენციაციის მაჩვენებელი. გიორგი წერეთელი (1842-1900) იმ ხანად პეტერბურგში მყოფ კირილე ლორთქიფანიძეს წერდა: “ნამესტნიკის ხელქვეითმა პირებმა შეადგინეს ერთი პროექტი, რომელსაც აზრში აქვს აღმოფხვრას ჩვენი სახსენებელი . . . ამტკიცებენ სტატიებით, რომ მეგრელები სხვა ტომისანი არიან და უნდა სხვაგვარი ანბანი შევუდგინოთო”. ყველაფერი 1881 წელს გამოსული დადგენილებით დაიწყო. 1881 წლის 13 იანვარს კავკასიის მეფისნაცვალმა დაამტკიცა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კირილ იანოვსკის (1878-1901) მიერ წარდგენილი პროგრამა, რომლის მიხედვითაც რუსეთის იმპერიაში სწავლა ადგილობრივ ენაზე უნდა წარმართულიყო. ამ დადგენილების შექმნის მიზეზი იმპერიის ტოლერანტობითა და ჰუმანურობით ნამდვილად არ აიხსნება. ჩაითვალა, რომ მეგრელთათვის ადგილობრივი ენა მეგრული იყო და შესაბამისად სკოლებსა და სხვადასხვა სასწავლებლებში სწავლება მეგრულად წარიმართებოდა.

კირილ იანოვსკის ამ გეგმამ ადაშფოთა ქართველი მამულიშვილები, მასწავლებლობა. ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა და სხვა მოღვაწეებმა

საკადრისი პასუხი გასცეს ქართველთ მოძულე რუს მოხელეს. თუმცა იანოვსკი მაინც ჯიუტად აგრძელებდა თავისი მუხანათური გეგმის განხორციელებას. 1886 წლის 29 სექტემბერს სენაკის სკოლის გამგეს წერდა: “Прошу вас, вести обучение на родном языке детей. Грузинским для имеретин, мингрельским для мингрельцев”. ასეთივე მითოთებებს უგზავნიდა ის ყველა სხვა საერო სკოლის გამგე მასწავლებლებს.

რუს ასიმილატორებს ქართველი შემწებიც ჰყავდათ, რომლებიც მათგან “წყალობა-დაწინაურების მომლოდინები სამშობლოსაც დალატობდნენ”. მათგან თადა აშორდია გამოირჩეოდა. ის შეუდგა მეგრული ანბანის შედგენას რუსული ანბანის საფუძველზე და დაიწყო ამ ანბანით სწავლება საერო სკოლებში, თუმცა ამის უფლება, როგორც საოსტატო სემინარებს, არ ჰქონდა. მის შესახებ იპოლიტე ვართაგავა წერდა: “ეტყობოდა, რომ საერთოდ ქარაფშუტა, თავქარიანი კაცი იყო. ამბობდნენ სრულებით არაფერს არ კითხულობს არც რუსულად და მითუმეტეს არც ქართულად და მთელ თავისუფალ დროს ნარდის და ქაღალდის თამაშს ანდომებსო”. ცხადია, ასეთივები იყვნენ მისი მომხრე და ფეხის ამყოლი ის მასწავლებლები, რომელთა რიცხვი იმ დროს სამეგრელოში თითებზე ჩამოითვლებოდა. მასწავლებლთა უდიდესი ნაწილი წინ აღუდგა სკოლიდან ქართულის განდევნას და მეგრულის შემოღებას.

ქართული ენისათვის ბრძოლა გახდა ძირითადი საზრუნავი. არ დარჩენილა ამ დროის მეტ-ნაკლებად ცნობილი მოღვაწე, რომელსაც ამ საკითხზე თავისი აზრი არ გამოეთქვა, როგორც ქართული ურნალ-გაზეთების (“ივერია”, “დროება”, “ცისკარი”, “მოამბე”, “მწყემსი” და სხვა) ან რუსული პრესის (“Современные известия”, “Кавказ” და სხვა) ფურცლებზე.

ქართულ-მეგრული დიფერენციაციის საკითხმა იმდენად სერიოზული სახე მიიღო, რომ 1885 წელს ილიას გამგზავრება მოუხდა სამეგრელოში. გამგზავრების საბაბად ნიკო დადიანის ბიბლიოთეკის წერა-კითვის მამავრცელებელი საზოგადოებისთვის გადაცემა დასახელდა, თუმცა მიზეზი ილიას ცნობილ სიტყვებში გამომედავნდა: “სამეგრელოში ჩამოვედი და საქართველო ვნახეო”.

1886 წლის 16 თებერვალს კ.იანოვსკიმ რუსეთის განათლების მინისტრს მისწერა წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: “აქაურ ხალხებს, რომლებიც გამსჭვალულნი არიან განათლებისაკენ მისწრაფებით . . . ეკუთვნიან მეგრელები, რომლებიც მეგრულ ენაზე ლაპარაკობენ. მეგრული ენა სრულიად განსხვავდება ქართული ენისაგან და სრულიად გაუგებარია ქართველებისათვის, ისევე როგორც ქართული გაუგებარია მეგრელთათვის . . . ამიტომ მე აუცილებლად ვთვლი ამ ენისათვის შედგენილ იქნას საკუთარი ანბანი, რომელიც ჩემი ღრმა რწმენით რუსულ

ალფაბეტზე უნდა იქნეს დაფუძნებული იმ საჭირო ცვლილებებით, რომელიც გამოწვეული იქნება რუსულ გამოთქმაში არ არსებული რამდენიმე ბგერით”. რუსეთის განათლების სამინისტრომ მოიწონა გეგმა და მეგრული ანბანის შესადგენად გამოაგზავნა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის თანამშრომელი ალექსეი გრენი, რომელმაც საკმაოდ კარგად იცოდა ქართველური ენები. ამ უკანასკნელმა ერთი თვის განმავლობაში შეაკოტიქა “მეგრული ანბანი”, მაგრამ ამ რუს მეცნიერს მეტოქეც გამოუჩნდა ზუგდიდის საოლქო სასწავლებლის მასწავლებელ თადა აშორდიას სახით, რომელსაც უკვე შედგენილი ჰქონდა მეგრული ანბანი ”დიდა ნინა” (დედა ენის) სახელწოდებით. ორივე ანბანი რუსულ “აზბუკა”-ს ეფუძნებოდა. თავ-თავიანთი მეგრული ანბანის სასწავლო ანბანად დამტკიცების სურვილმა გრენსა და აშორდიას შორის შედლი ჩამოაგდო. თადა აშორდია, რომელსაც მეგრული წერა-კითხვის მამობა სურდა, დამარცხდა. დაამტკიცეს გრენის მიერ შედგენილი ანბანი, ჩამოასხეს ის გამოსცეს “Мингрелская Азбука” და სახელმწიფო სკოლებში შემოიდეს მეგრულზე სწავლება. შემდეგი ეტაპი ეკლესიებში ლოცვების მეგრულ ენაზე ჩატარება იყო. ამ პერიოდისათვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია კარგა ხნის გაუქმდებულია; ეკლესიის დაკინებას გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა რუსეთის კოლონიურ პოლიტიკაში. 1811 წელს გააუქმეს მცხეთის, ხოლო 1814 წელს აფხაზეთის საკათალიკოსო. საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუყენეს რუსეთის ეკლესიის სინოდის მიერ დანიშნული სასულიერო მოხელე-უგზარხოსი. პირველი ეგზარხოსი ქართველი იყო, ქსნის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენელი ვარლამი, მაგრამ შემდგომში ეგზარხოსებად რუსები იგზავნებოდნენ (საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წლამდე ვერ მოხერხდა). სინოდის გადაწყვეტილებით წირვა-ლოცვა ჯერ რუსულად მიმდინარეობდა, შემდეგ საეკლესიო წიგნების თარგმნას წირვა-ლოცვის მეგრულად შემოღება მოჰყვა. ამ დროს საქართველოს ეგზარხოსი იყო ანტიქართული განწყობილებით ცნობილი არქიეპისკოპოსი პავლე, რომელიც იანოვსკის მარჯვენა ხელი იყო. სამეგრელოს სამდვდელოებამ არ მიიღო მეგრული ლოცვები და პროტესტი ინტელიგენციასთან ერთად გამოხატა. მათ შექმნეს კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა ნიკო დადიანი. კომისიამ უარყო მეგრული ლოცვები და დაბეჯითებით მოითხოვა წირვების ქართულ ენაზე წარმართვა.

სამეგრელოს სკოლებში მეგრულად სწავლებისათვის საჭირო იყო მეგრულის მცოდნე მასწავლებლები. სამეგრელოს სკოლებში კი მასწავლებლად ბევრი სხვა კუთხელიც მუშაობდა და ცხადია მათ მეგრული არ იცოდნენ. ამიტომ კ. იანოვსკი და

მისი მარჯვენა ხელი ლევიტსკი სამეგრელოს სკოლებში მომუშავე სხვაკუთხედ ქართველ და თვით რუს მასწავლებლებსაც აძალებდნენ შექსწავლათ მეგრული, შეედგინათ სახელმძღვანელოდ მეგრული ტექსტები მოწაფეებისთვის. როგორც ჩანს, ამის შედეგი იყო რუსი მასწავლებლების მიერ მეგრული ტექსტების, მეგრელთა რწმენა-წარმოდგენების ამსახველი წერილების გამოქვეყნების გახშირება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე.

ქართული ენის წინააღმდეგ ბრძოლამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც სამრევლო სკოლების მზრუნველი გახდა დეკანოზი ვოსტორგოვი. მან 1901 წელს შეიმუშავა სასწავლო გეგმა, რომელიც თითქმის არ განსხვავდებოდა 1881 წლის დადგენილებისაგან. ვოსტორგოვის მიერ ახალი სასწავლო გეგმის შემოღებისთანავე იაკობ გოგებაშვილმა ვ(არიან)ელის ფსევდონიმით გამოაქვეყნა წერილი “სამრევლო სკოლების შესახებ”, რომელშიც გააცამტვერა ვოსტორგოვისეული გეგმა. შემდეგ 1902 წელს გამოაქვეყნა წერილი “ბოროტი წადილი სამეგრელოს შესახებ” და კიდევ ერთხელ გაამათრახა ის მუშაკები, რომლებიც ქადაგებდნენ “სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებიდან დედაენა უნდა იქნას გამორიცხული, რადგან ხალხი ადგილობრივ კილოკავებს ხმარობს”. იაკობ გოგებაშვილის შემდეგი წერილი “მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხისათვის” 1903 წლის 27 თებერვლის ნომერში დაბეჭდა იმპერიის უმნიშვნელოვანების გაზეოთა “Петербургская ведомости”. “უხსოვარი დროიდან – წერდა იგი – ქართული ენა მეგრელთათვის სარწმუნოებრივი დკანისმსახურების, სასკოლო, სალიტერატურო და სასამართლო-ადმინისტრაციულ ენას წარმოადგენდა. მეგრელები, რომლებმაც ქრისტიანობა აღმოსავლეთ ქართველებთან შედარებით სამი საუკუნით ადრე მიიღეს, მხსნელ ქრისტეს ადიდებდნენ და დკანისმსახურებას ასრულებდნენ თავის ძირითად ქართულ ენაზე. საეკლესიო კათედრა სამეგრელოს ფარგლებში არასდროს არ ხმარობდა სხვა ენას, გარდა ქართულისას”. ის აღნიშნავს, რომ ”მეგრელებს ადგილად შეეძლოთ ლიტერატურულად განცალკევებულიყვნენ, რადგან მათი სამშობლო ძალიან ხშირად სარგებლობდა პოლიტიკური დამოუკიდებლობით და საკუთარ ბედს თვითონ განაგებდა”, მაგრამ “მათ არასდროს აზრად არ მოსვლიათ ცალკე ანბანის შეთხვა. მეტიც, მეგრელები ბრწყინვალე მოქართულენი არიან, ყველაზე უზადო სალიტერატურო ქართულ ენას მეგრელთა ნაწარმოებებში შეხვდებით და ყველაზე უზადო ცოცხალ სასაუბრო ქართულსაც მათგან მოისმენთ”. ამ წერილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამეგრელოში ქართული ენის განმტკიცების საქმეში.

იაკობ გოგებაშვილის შემდეგი წერილი “მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხისათვის” 1903 წლის 27 თებერვლის ნომერში დაბეჭდა იმპერიის უმნიშვნელოვანების გაზეოთა “Петербургская ведомости”. “უხსოვარი დროიდან – წერდა იგი – ქართული ენა მეგრელთათვის სარწმუნოებრივი დკანისმსახურების, სასკოლო, სალიტერატურო და სასამართლო-ადმინისტრაციულ ენას წარმოადგენდა. მეგრელები, რომლებმაც ქრისტიანობა აღმოსავლეთ ქართველებთან შედარებით სამი საუკუნით ადრე მიიღეს, მხსნელ ქრისტეს ადიდებდნენ და დკანისმსახურებას ასრულებდნენ თავის ძირითად ქართულ ენაზე. საეკლესიო კათედრა სამეგრელოს ფარგლებში არასდროს არ ხმარობდა სხვა ენას, გარდა ქართულისას”. ის აღნიშნავს, რომ ”მეგრელებს ადგილად შეეძლოთ ლიტერატურულად განცალკევებულიყვნენ, რადგან მათი სამშობლო ძალიან ხშირად სარგებლობდა პოლიტიკური დამოუკიდებლობით და საკუთარ ბედს თვითონ განაგებდა”, მაგრამ “მათ არასდროს აზრად არ მოსვლიათ ცალკე ანბანის შეთხვა. მეტიც, მეგრელები ბრწყინვალე მოქართულენი არიან, ყველაზე უზადო სალიტერატურო ქართულ ენას მეგრელთა ნაწარმოებებში შეხვდებით და ყველაზე უზადო ცოცხალ სასაუბრო ქართულსაც მათგან მოისმენთ”. ამ წერილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამეგრელოში ქართული ენის განმტკიცების საქმეში.

ვოსტორგოვის გეგმების განხორციელებას წინ აღუდგა მეგრელი მოსახლეობა. თავადაზნაურობამ პეტერბურგში გააგზავნა ვრცელი მოხსენება იმის თაობაზე, რომ ქართული ენა მწიგნობრული ენა იყო ყველა ქართველისათვის მეგრელების ჩათვლით. მოხსენება შეადგინა იონა მეუნარგიამ და მას 113 თავად-აზნაური აწერდა ხელს. უბრალო მოსახლეობის ნება კი იმ გაფიცვებში გამოიხატა, რომლებიც ახალი სახწავლო წლის დაწყებიდან ორი თვის მანძილზე მიმდინარეობდა. მთელი სამეგრელო ქართულის ნაცვლად სწავლების მეგრულად შემოდების წინააღმდეგ აღდგა. ასე რომ, რუსეთის მცდელობა, ენობრივ ნიადაგზე განხეთქილების წარმოქმნისა, კრახით დამთავრდა. სეპარატიზმის გაღვივებისათვის შესაბამისი ნიადაგი არ არსებობდა. მეგრელებს არ გააჩნდათ განცალკევების სურვილი, მეგრული ენა არასდროს ქმნიდა დაბრკოლებას ურთიერთობაში და შეუძლებელი იყო იგი ერთბაშად ბარიერად ქცეულიყო. სახელგანთქმული ვექილი ლუარსაბ ლოლუა თავის წიგნში “სამეგრელოს საერო სკოლები” წერდა: “ქართული მწიგნობრობა მეგრელთათვის საკუთარი რომ არ ყოფილიყო, მეგრულ მწიგნობრობას თვით მეგრელნი შექმნიდნენ, შექმნიდნენ მრავალი საუკუნით ადრე მამანი ეკლესიისანი”(გვ.15). მიუხედავად ამისა, მეგრული ენა კიდევ იქნა გამოყენებული განხეთქილების შესაქმნელად. თუკი პირველი მცდელობა განცალკევებისა ერთხმად უკუაგდეს მეგრელებმა, შემდგომ ეტაპზე წინააღმდეგობის ხარისხი შესუსტდა.

XX საუკუნის 20-იან წლებში ცეკას წევრი ისააკ ჟვანია იწყებს აქტიურობას მეგრელთათვის, როგორც ქართველთაგან განსხვავებული ეთნოსისათვის, ავტონომიის მოპოვების საქმეში. მაპროვოცირებელი იდეებით სავსე წიგნში ი. ჟვანია აბსურდული არგუმენტების მოშველიებით განიხილავს სამეგრელოს, როგორც საქართველოსაგან დამოუკიდებელ, ცალკე ერთეულს. ხსენებული წიგნი ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა სამეგრელოში. ისააკ ჟვანია წერს: “ლენინიში კომუნისტურ პარტიაქ ბოლო ქიმეჩ ნაციონალურ უწორმაწორობას. მარგალი მოხანდეს მუში ნინაშა უღუ ამდღა შეოლა, კლუბი, საბჭო, სუდი დო სხვა”(გვ.123) (ლენინის კომუნისტურმა პარტიამ ბოლო მოუღო ნაციონალურ უთანასწორობას. მეგრელ მუშას თავის ენაზე აქვს სკოლა, კლუბი, საბჭო, სასამართლო და სხვა). მანამდე, 1918 წელს ფოთში მასწავლებლები გამოვიდნენ ლევიცე-კოსტორგოვის მიერ დაწყებული საქმის გამგრძელებლებად. 1925 წელს ზუგდიდში დაიწყო ავტონომიისათვის ნიადაგის შემზადება. მაფალუელთა ავანტურისტულმა ჯგუფმა მოსკოვში თხოვნაც გააგზავნა: “გვიხსენით საქართველოს სუვერენიტეტისგან, ნუდარ უყურებთ სამეგრელოს პროლეტარიატის საცოდაობას”. 1925 წლის სექტემბერში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური

კომიტეტის სხდომაზე გამოაქვთ დადგენილება მეგრული ენის შემოღების შესახებ სასამართლოში. შესაძლებლად ცნობენ მეგრული გაზეთის გამოცემასაც. ამავე პერიოდში კაკა ჟვანიას მიერ ითარგმნება “ვეფხისტყაოსანი” მეგრულად. ყოველივე ამის ინიციატორი ისააკ ჟვანიაა, რომელიც გაუნათლებელ ადამიანებსაც იყოლიებს, თუმცა საბედნიეროდ ამ “ჭკუანადრძობ მაფალუისტთა” (როგორც მათ კონსტანტინე გამსახურდია უწოდებს) რიცხვი დიდი არ იყო.

1928 წელს მოსკოვიდან ჩამოვიდა ცენტრალური კომიტეტის პოლიტინსტრუქტორი პშენიცინი. მან გაიზიარა ჟვანიას აზრები და დაასკვნა: მეგრელ გლეხს უნდა მივცეთ სკოლა, სასამართლო და პოპულარული ბროშურები მშობლიურ ენაზე – მეგრულზე.

1929 წელს მეგრული ენის პრივილეგიების აღსადგენად, მას ეწოდა არა ენაკავი, არამედ ენა. 20-იანი წლების ბოლოს გამოვიდა გაზეთი მეგრულ ენაზე “ყაზახიში გაზეთი”. თუმცა ის არ იყო ისეთი პერიოდული ორგანო, რომელიც გარკვეული აზრების პროპაგანდას ახდენდა. ის შეიცავდა სამეურნეო ხასიათის რჩევებსა და კოლმეურნეობების მიღწევათა ჩამონათვალს. მკითხველთა პროცენტული მაჩვენებელი ძალიან დაბალი იყო.

თუ თავდაპირველი ქართველი ინტელიგენტები საკითხს არასერიოზულად უყურებდნენ, შემდეგ განვითარებული მოვლენების სერიოზულობამ აიძულა ისინი უკომენტაროდ არ დაეტოვებინათ იგი: გამართეს შეკრებები, გააპროტესტეს მეგრელებსა და ქართველებს შორის ეთნიკური განსხვავების იდეა. ბოლოს ბოლშევიკურმა მთავრობამ აღიარა: თავად მეგრელებს არ სურთ სამეგრელოს ავტონომიური ოლქის შექმნაო. ამ ოლქში უნდა შესულიყო: ზუგდიდის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, სენაკის, აბაშის, ფოთისა და მარტვილის რაიონები. საერთოდ ბერია წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ოლქის შექმნისა და მისი პასუხი ისააკ ჟვანიას მიმართ “ქმედითად” დაფიქსირდა 1937 წელს. ჟვანია რეპრესიებს ემსხვერპლა. ასე დასრულდა სეპარატისტული მოძრაობის მეორე ეტაპი სამეგრელოში. თუკი აქამდე თამამად შეიძლებოდა ამ პრობლემისთვის არარსებული და გამოგონილი დაგვერქმია, ახლა ამის თქმა ეჭვს იწვევდა. პრობლემა დღის წესრიგში დადგა. სამეგრელოს სოფლებში ემხრობოდნენ ავტონომიის იდეას და თანაუგრძნობდნენ ისააკ ჟვანიას, თუმცა ამ საკითხზე ღიად არ საუბრობდნენ და მალავდნენ, ამასთან გამუდმებით ავიწყდებოდათ, რომ მიჩქმალვა არ ნიშნავს მოგვარებას. ასეთი პოზიცია თავისთავად ცხადყოფდა, რომ ეს პრობლემა მომავალში ახალი ძალით იფეთქებდა. ამასობაში, ერთხელ უკვე სახელგატებილი მეგრელების სეპარატისტული ამბიციები გარკვეული პოლიტიკური ძალის მიერ მოხერხებულად იქნა გამოყენებული. საუბარია ცნობილ

“მეგრელთა საქმეზე”, რომელიც სათავეს 1949 წლიდან იღებს. ამ პერიოდში ყველაზე საპასუხისმგებლო თანამდებობები მეგრელებს ეკავათ. შინაგან საქმეთა მინისტრი გახდათ კოტე ბზიავა, რესპუბლიკის პროკურორი ვლადიმერ შონია, იუსტიციის მინისტრი ჭიჭიკო რაფავა. პ. ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი იყო მიხეილ ბარამია, და ყველაზე მთავარი ლავრენტი ბერია. ის 1931 წელს ერთდროულად გახდა საკავშირო კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მეორე მდივანი და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. 1932 წელს ბერია გახდა საკავშირო კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანიც. 1949 წლისთვის ბერია იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი, მასვე ემორჩილებოდა შინაგანი და საგარეო დაზვერვაც. 1951 წლის ბოლოს დაიწყო ეგრედ წოდებული “მეგრელთა საქმე”, რომლის ყველა დეტალი დღესაც ბოლომდე არ არის გახსნილი. მასთან დაკავშირებით ორი ვერსია არსებობს, თუმცა ორივე მათგანში ჩანს, რომ “მეგრელთა საქმე” ბერიას წინააღმდეგ აგორდა.

ერთ-ერთი ვერსიით, იგი საიდუმლოდ მომზადდა კრემლის უმაღლეს ეშელონებში იოსებ სტალინის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით. თავისი მმართველობის ბოლო წლებში სტალინი ძალაუფლებისაკენ ბერიას აშკარა სწრაფვას ეჭვის თვალით უყურებდა და მისი ლიკვიდაცია იყო გადაწყვეტილი.

მეორე ვერსიით “მეგრელთა საქმის” შემთხვევებად იმ ხანად აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი აკაკი მგელაძე და საქართველოს უშიშროების მინისტრი ნ. რუხაძე გვევლინებიან. მათ ასეთი გეგმები ჰქონდათ: ჩამოაგდებდნენ ბერიას, მგელაძე დაიკავებდა მის ადგილს, ხოლო რუხაძე გახდებოდა შინაგან საქმეთა საკავშირო მინისტრი. მათ თანამოაზრებიც გამოუჩნდნენ: ბერიშვილი და თავდიდიშვილი. ერთობლივად გადაწყვიტეს, რომ სტალინისთვის მოეხსენებინათ, თითქოს არსებობს მეგრული ნაციონალისტური ჯგუფი, რომელიც ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა და რომელსაც ბერია მფარველობს. 1949 წლის შემოდგომაზე რიწის მიდამოებში დასასვენებლად ჩამოსულ სტალინს მგელაძემ მოახსენა მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის არსებობის შესახებ.

რუხაძემ იმდენი ქნა, რომ მის მიერ შეთითხნილი თითქოს “უტყუარი დოკუმენტები წარუდგინა სტალინს. მეგრელებს არა მხოლოდ ნაციონალისტური ჯგუფის შექმნა დასდეს ბრალად, არამედ საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოყოფისა და თურქეთთან შეერთების მისწრაფებაც (თურქეთი ტერიტორიულად ახლოს იყო, თორემ უფრო სარწმუნო იქნებოდა საფრანგეთთან კავშირში ემხილათ, რადგან იქ იმყოფებოდა ევგენი გეგეჭკორი). 1952 წლის აპრილში

კი პ.პ. ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან გაათავისუფლეს კანდიდ ჩარკვიანი, რადგან ის უარყოფდა სეპარატისტული დაჯგუფების არსებობას. მის ადგილზე დანიშნეს ა. მგლაძე, ამ დროისთვის დაპატიმრებულები იყვნენ მეგრული წარმოშობის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები: მიხეილ ბარამია, ალექსანდრე მირცხულავა, ჭიჭიკო რაფავა, ვლადიმერ შონია, ნინო ქვანია და სხვები. ბერია საქართველოში ჩამოვიდა. მისთვის ცხადი იყო, რომ მიზანში თავად იყო ამოღებული. საჭირო იყო სტალინის დარწმუნება ყველა ბრალდების სიყალბეში, მაგრამ ეს იმ ფონზე, როცა “მეგრელთა საქმის” გამომმიებლები: ცეპოვი, ბოლხოვიტინი, შევრიტინი, ჟარკოვი და დეგტიარევი არაადამიანური წამების საშუალებით აღიარებით ჩვენებებს ღებულობდნენ, ძალიან ძნელი იყო. სტალინს გადაწყვეტილი ჰქონდა მეგრელების გადასახლება. ბერიამ მას მიუგზავნა აზერბაიჯანის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მირ-ჯაფარ ბაგიროვი, რათა მას დაეთანხმებინა სტალინი განაჩენის შერბილებაზე. საბედნიეროდ ცოტა სანში ნათელი გახდა რუხაძისა და მისი ჯგუფის ნამოქმედარი და დაპატიმრებულები რეაბილიტირებულ იქნენ.

“მეგრელთა საქმის” მიმართ ქართულ საზოგადოებას გაორებული პოზიცია ჰქონდა. ნაწილი ამ ფაქტს ისე შეხვდა, თითქოს უცხო არაფერი ყოფილიყო და ამ ბრალდების უტყუარობაში ეჭვი არ ეპარებოდათ, რადგან ზოგიერთმა ბრალდებულმა ხომ აღიარა “დანაშაული”, ნაწილისთვის კი თავიდანვე ცხადი იყო ეგრედ წოდებული “მეგრელთა საქმის” სიყალბე, მაგრამ დიქტატურის პირობებში ხმამაღალ პროტესტს ვერავინ ბედავდა.

მიუხედავად იმისა, რომ “მეგრელთა საქმეზე” ბევრი რამ ითქვა და დაიწერა, ბევრი დეტალი დღემდე გაურკვეველი და ბუნდოვანია. როგორც იმ პერიოდის, ისე შემდგომი წლების გამოცემებიც ერთსა და იმავე ინფორმაციას შეიცავს და ერთნაირი ხასიათისაა, ამიტომ რაიმეს დანამდვილებით თქმა და ზუსტი დასკვნების გამოტანა ძნელდება. დროთა განმავლობაში კი ცხადი გახდა, რომ არ არსებობდა არანაირი მეგრული დაჯგუფება, უბრალოდ არსებობდა ხელსაყრელი პირობები მის შესაქმნელად და სწორედ ეს ვითარება გამოიყენეს “მეგრელთა საქმის” შემთხვევებმა სათავისოდ.

რუსეთი პოზიციებს არ თმობდა. 50-იან წლებში ხშირად იბეჭდებოდა წერილები, სადაც საუბარი იყო მეგრელების, სვანების, აფხაზებისა და დანარჩენი ქართველების ეთნიკურ განსხვავებულობაზე, ხშირად მათ საქართველოში მცხოვრებ არაქართველებად მოიხსენიებდნენ. საბოლოოდ ცხადი ხდებოდა, რომ ასეთ წერილებზე დაკვეთა ცენტრალური კომიტეტიდან მოდიოდა. 50-იან წლებში ეს იყო

ბოლო მცდელობა განხეთქილების ჩამოგდებისა. ამის შემდეგ მეგრელთა განსხვავებულობაზე და ნაციონალური ჯგუფის შექმნის სურვილზე დიდხანს არფერი თქმულა და კარგა ხნის მანძილზე ამ პრობლემას არავინ შეუწუხებია. რჩებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ პრობლემა დღის წესრიგიდან სამუდამოდ მოიხსნა. თუმცა საგაზეთო პუბლიკაციებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ პრობლემამ 80-იანი წლებიდან კვლავ იჩინა თავი. 1989 წლის “ლიტერატურულ საქართველოში” გამოქვეყნდა ზვიად გამსახურდიას წერილი, რომელშიც იგი სამეგრელო-სამურზაფანოზე ვრცელი საუბრისას აღნიშნავს, რომ ამ პრობლემას ახლაც აქვს ადგილიო. ცოტა მოგვიანებით 1992 წელს “საქართველოს რესპუბლიკაში” დაიბეჭდა თედო სახოკიას წერილი. რედაქცია უთითებდა, რომ აქტუალობიდან გამომდინარე საჭიროდ ჩათვალეს დაწერიდან 60 წლის შემდეგ გამოექვეყნებინათ იგი. წერილი ასე მთავრდება: “ლეგიცი-ვოსტორგოვები ყველამ იცის რასაც მისდევდნენ, მაგრამ თქვენ, სამეგრელოს ავტონომისტებო, თქვენ რადას მისდევთ”. ქნელი სათქმელია იმ პერიოდში რამ განაპირობა ამ საფრთხის წინ წამოწევა, თუმცა ერთი რამ ცხადია: ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის პერიოდში განვითარებული მოვლენები ხელს უწყობდა სეპარატიზმის გაღვივებას სამეგრელოში.

1991 წლის 26 მაისს ზვიად გამსახურდია არჩეულ იქნა საქართველოს პირველ პრეზიდენტად. 1991 წლის ბოლოსთვის შიდაპოლიტიკური კრიზისი საქართველოში პიკს აღწევს. ჩვენს ქვეყანაში არსებული სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და ეროვნული ქალები ვერ გაერთიანდნენ. თვით ხელისუფლების სათავეში მოსული ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო” გაითიშა. მას ზედ დაერთო რუსეთში მიმდინარე პროცესები. მოსკოვში დაიწყო სამსედრო პუტინი. პუტინისტებმა ტელევიზიონთა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით გაავრცელეს ინფორმაცია, რომ გორბაჩოვს ადარ შეუძლია საბჭოთა კავშირის მართვა. ამავე დროს გამოცხადდა, რომ ქალაუფლება გადავიდა საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის ხელში, რომელშიც შევიდნენ პუტინის ორგანიზატორები და მათი მომხრეები ანუ ის ქალები, რომლებიც დამდუპველად მიიჩნევდნენ საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნებს და მოკავშირე რესპუბლიკებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. მოსკოვში კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა. მართალია, მოსკოვის პუტინი დამარცხდა, მაგრამ 1991 წლის აგვისტოს დღეებმა საქართველოში ვითარება უფრო დაძაბა. 1991 წლის 21 დეკემბერს ალმა-ატაში მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომელსაც 11 დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეთაურმა მოაწერა ხელი და რომლის მიხედვით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნით არსებობა შეწყვიტა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნა საქართველოს მონაწილეობის გარეშე მოხდა. რუსეთმა ვერ შეძლო საქართველოს ეროვნული ხელისუფლების კომპრომისზე დაყოლიება. ცხადია, თანამეგობრობის შექმნის შემდეგ საბჭოთა ქავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთი საქართველოს ხელისუფლების მიმართ კეთილგანწყობას არ გამოიჩენდა. თბილისში რუსეთის თანადგომითა და პრაქტიკული დახმარებით იმედმიცემული ოპოზიციის გამოსვლა 1991 წლის 22 დეკემბერს დაიწყო. 1991 წლის დეკემბრის ბოლოსა და 1992 წლის იანვრის დამდეგს დედაქალაქში მიმდინარე ბრძოლების შედეგად პუტინსტებმა დაამსეს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება. გამსახურდიამ უზენაესი საბჭოსა და მთავრობის წევრებთან ერთად, ჯერ სომხეთს შეაფარა თავი, შემდეგ კი ჩეჩენეთს. ძალაუფლება ხელში აიღო სამხედრო საბჭომ, რომელშიც შედიოდნენ გადამდგარი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა და გვარდიის სარდალი თენგიზ კიტოვანი. გამსახურდია თვლიდა, რომ სიგუა შევარდნაძის მიერ იმართებოდა რუსეთიდან. თავად კიტოვანი და სიგუა კი გამსახურდიას დიქტატურის დამყარების მცდელობაში სდებდნენ ბრალს. სამხედრო გადატრიალებამ დასაბამი მისცა სამოქალაქო ომს ქვეყანაში. ომის პერიოდში ციხიდან გამოუშვეს მხედრიონელი ჯაბა იოსელიანი. სამხედრო საბჭოს მმართველობის პერიოდში კრიზისი სულ უფრო მწვავდებოდა. დევნილ გამსახურდიას საქართველოში, კონკრეტულად კი სამეგრელოში ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა, რომლებიც აგრძელებდნენ ბრძოლას. ქვეყანა ორ ნაწილად გაიყო ძველი ხელისუფლების მომსრეებად(რომლებშიც დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლები ჭარბობდნენ) და სამხედრო საბჭოს მომსრეებად. პოლიტიკური კრიზისი, რომელსაც ბოლო არ უჩანდა, ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა აფხაზ და ოს სეპარატისტებს. ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის გზად ქართველი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა მოსკოვიდან ედუარდ შევარდნაძის ჩამოყვანა დასახა. 1992 წლის მარტში ედუარდ შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა, სამხედრო საბჭომ ძალაუფლება მას გადასცა. ამან კიდევ უფრო გააღიზიანა გამსახურდიას მომხრეები, ვინაიდან ისინი საკუთარი ლიდერის აზრს, რომელსაც საქართველოს მტრების სიაში პირველ ნომრად ედუარდ შევარდნაძე ჰყავდა მიჩნეული.

გამსახურდია ამ დროს ჩეჩენეთშია. იგი უკვე ფიქრობს დაბრუნებაზე და ბრძოლის გაგრძელებაზე ძალაუფლების მოსაპოვებლად. 1993 წლის სექტემბერში გამსახურდია გროზნოდან საქართველოში ბრუნდება. იგი პირდაპირ სამეგრელოში ჩადის, სადაც მისი თანამოაზრები გოჩა ესებუას მეთაურობით მზადყოფნაში არიან და ელოდებიან მის გადაწყვეტილებას. ამ დროს სამოქალაქო ომი მიმდინარეობს.

თემის შინაარსიდან გამომდინარე ომის პერიპეტიებს ვრცლად არ განვიხილავთ. მხოლოდ შეგასსენებთ, რომ ამ დროისათვის სოხუმი უკვე აღებულია. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში შეუძლებელი გახდა საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანება, თუმცა ამის წარუმატებელი მცდელობა იყო. ოთარ ფაცაციას ინიციატივით შევარდნაძე ხვდება ლოთი ქობალიას. ქობალია გაერთიანებას სთავაზობს, მხოლოდ იმ პირობით თუ შევარდნაძე გადადგება და პრეზიდენტი კვლავ ზვიად გამსახურდია იქნება. შეთანხმება ვერ შედგა. შეიარაღებულმა და საბრძოლველად მხადმყოფმა ბატალიონმა გადაწყვიტა გამსახურდიას ხელისუფლება აღედგინა. ბატალიონმა ესებუას მეთაურობით დაიკავა სამეგრელო, იმერეთისა და გურიის ნაწილი. ჯერ აიღეს ხობი, შემდეგ სენაკი აეროპორტითურთ. სენაკში მათ შეუერთდა აკაკი ელიავა, შემდეგ ისინი გადავიდნენ ფოთში. ცოტა ხანში შეიარაღებული ჯგუფები გამოჩდნენ ქუთაისის გარეუბნებში. შევარდნაძე იძულებული გახდა, დახმარების სათხოვნელად რუსეთში წასულიყო. ეს დაპირისპირება ელცინმა სათავისოდ გამოიყენა და დახმარების სანაცვლოდ შევარდნაძეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლა მოსთხოვა. 1993 წელს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შევიდა. ამ გადაწყვეტილებით შევარდნაძემ საქართველოს ორად გაყოფა აიცილა თავიდან. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლაზე თანხმობის მიღების შემდეგ ელცინმა საქართველოში ბალტინის ჯარები გამოგზავნა. დამარცხებულმა გამსახურდიამ სამეგრელოს სოფლებს შეაფარა თავი და 1993 წელს გაურკვეველ ვითარებაში სოფელ ხიბულაში გარდაიცვალა. გამსახურდიას დაღუპვის შემდეგ მისი მიმხრები დაიშალნენ და ნაწილი ერთმანეთსაც დაუპირისპირდა. თუმცა შევარდნაძის მიმართ უნდობლობა და სიძულვილი მათში არ განელებულა. უფრო მეტიც ომის დროს განვითარებულმა მოვლენებმა სამეგრელოში მიმდინარე ძარცვა-ყაჩაღობამ, სისხლისდვრამ და რბევამ მათში აგრესია გააჩინა და უბიძგა მათ შურისძიებისაკენ. გამსახურდიას მომხრეები მისი სახელით მიზანმიმართულად მოქმედებდნენ შევარდნაძის ჩამოსაგდებად; მათ მოსკოვში შექმნეს საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც აფსანძე თავმჯდომარეობდა. ის მფარველობდა გამსახურდიას ოჯახსაც. აფსანძე, რომელსაც სპირიტს ბიზნესი ჰქონდა, აფინანსებდა შეთქმულთა ჯგუფს, რომელშიც მხოლოდ მეგრელები შედიოდნენ. ამ ჯგუფს უნდა განეხორციელებინა ტერ-აქტი შევარდნაძეზე. მისი ლიკვიდაციის შემდეგ პირველ ორ დღეში გამოიყვანდნენ 2000 შეიარაღებულს და თბილისისაკენ წამოვიდოდნენ. შემდეგ თბილისის ციხიდან გამოიყვანდნენ ლოთი ქობალიას, ასევე ზვიად ძიძიგურს, პეტრ გელბახიანს, ვალტერ შურდაიასა და ზაურ ქობალიას. აჯანყებულებს უნდა აეღოთ

საქართველოს პარლამენტი, ტელევიზია, ფოსტა და უნდა გაეკეთებინათ განცხადება კანონიერი ხელისუფლების აღდგენის შესახებ. კანონმდებლობის მიხედვით პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ მის ადგილს დროებით დაიკავებდა პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ევანია. შემდეგ ჩატარებდნენ არჩევნებს და აირჩევდნენ მათთვის სასურველ პრეზიდენტს. შეთქმულებმა ხუთ თვიანი სამხედრო წვრთნა გაიარეს ჩეჩენეთში, ავტურის ბაზაზე. ამ ბაზას აკონტროლებდა სალმან რადუევი. ტერაქტამდე რამდენიმე დღით ადრე მათ სამეგრელოში შეიტანეს ათასობით ავტომატი, ტყვიამფრქვეულები და ნაღმები. ტერაქტის შესახებ ორმა ადამიანმა იცოდა: ელიავამ და შონიამ. მათ ევალებოდათ შეთქმულთა მეთაურობა. 1998 წლის 9 თებერვალს განხორციელებული ტერორისტული აქტი წარუმატებელი აღმოჩნდა. შეთქმულები დააპატიმრეს. დანარჩენებმა კი აჯანყება ვერ გაძედეს.

ამ პროცესებმა თანდათან მიგვიყვანა 1997-98 წლების მოვლენებამდე. თუმცა 1997 წლამდეც იყო სამეგრელოში მცდელობა შექმნილიყო მეგრელთა პარტია. ამ პერიოდში სვანეთში იქმნება “სვანური ლემი” და გარავეულწილად მის გავლენასაც აქვს ადგილი. ზოგიერთები მაშინაც და დღესაც თვლიან, რომ მეგრელთა პარტიის ინტერესები (“სვანური ლემისგან” განსხვავებით) საქმაოდ შორს მიდიოდა და სწორედ რომ სეპარატიზმს უკავშირდებოდა. ცოტა ხანში რუსეთიდან ჩამოდის პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭავია, რომელიც აარსებს საზოგადოება “სამეგრელოს”. ის ჩადის ფოთში, სადაც განთავსებული იყო მისი თანაგუნდელებისა და თანამოაზრების შტაბი და აქტიურად ებმება პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჭავიას თქმით საზოგადოება “სამეგრელო” შეიქმნა მეგრელთა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად. მეგრელთათვის ეს უნდა ყოფილიყო თვითგამორკვევისა და შემდგომ თვითდამკვიდრების საშუალება. ეჭვები საზოგადოება “სამეგრელოს” სეპარატისტულობაზე ძალიან მაღე და სმამაღლა გამოითქვა. ალექსანდრე ჭავია კი ჩამოსვლისთანავე რუსეთის აგენტად გამოცხადდა. ამავე პერიოდში შეიქმნა მეორე საზოგადოება ”კოლხეთი” (რომელშიც ერთიანდებოდნენ: ო. ფაცაცია, ბ. გუნავა, ვ. ყოლბაია, ბ. გულუა), თუმცა მის სეპარატისტულობაზე ნაკლებად საუბრობდნენ. რაც შეეხება ჭავიას, მას პირდაპირ არ განუცხადებია მეგრელთათვის ცალკე პოლიტიკურ ერთეულს უნდა წარმოადგენდეთო, მაგრამ მისი მოღვაწეობა პირდაპირ უკავშირდებოდა იმ მეგრელების სურვილს, რომლებიც ეროვნებად მეგრელის ჩაწერას მოითხოვდნენ. იმ ეტაპზე ეროვნებად მეგრელის ჩაწერა იდეაფიქსად იქცა. მან დიდი განხეთქილება გამოიწვია, საზოგადოება ორ ბანაკად დაიყო. მაშინ, როდესაც დაპირისპირება კულმინაციურ წერტილს უახლოვდებოდა, ჭავიას ორგანიზაციამ

აქტიურობა შეასუსტა, რამაც დამოუკიდებლობის ჟინმორეული მეგრელთა ნაწილის დაშლა გამოიწვია და მდგომარეობაც თანდათან დარეგულირდა.

რა ხდება ამჟამად სამეგრელოში? დგას თუ არა სეპარატიზმის საფრთხე? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა შეიძლება: არა!

როდესაც სამეგრელოში სეპარატიზმის გაღვივებას ცდილობდნენ, აქცენტს ყოველთვის სოფლებში მცხოვრებ, ისტორიის არმცოდნე და ეკონომიკურად გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფ ხალხზე აკეთებდნენ. ასეთი ადამიანები ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების სანაცვლოდ მზად იყვნენ ნებისმიერ ავანტიურაზე წასულიყვნენ, რადგან დასაკარგავი არაფერი ჰქონდათ. ეკონომიკური მდგომარეობა სამეგრელოში ახლაც უკიდურესად მძიმეა, მაგრამ ამ ეტაპზე მათ რაც არ უნდა მიმზიდველი წინადადება შესთავაზო, სეპარატიზმის განვითარების ალბათობა თითქმის ნულის ტოლია. საზოგადოება ამ საკითხთან მიმართებაში მუდაშ ორად იყოფოდა. ერთნი, ისტორიაში კარგად გაცნობიერებულნი, მას ეწინააღმდეგებოდნენ, ხოლო მეორენი ან ინდიფერენტულები იყვნენ, ან სეპარატისტულად განწყობილნი. ამჟამად მდიდრებიც და ღარიბებიც, განათლებულებიც და გაუნათლებლებიც ერთსულოვნები არიან და უპირისპირდებიან სეპარატიზმის ყოველგვარ გამოვლინებას. აქ უკვე გადამწყვეტ როლს ქვეყნის პრეზიდენტი თამაშობს. დედით მეგრელი და მეგრელთათვის ზვიად გამსახურდიას მემკვიდრედ მიჩნეული პრეზიდენტისაგან განდგომა მათთვის ყოვლად მიუღებელია. ეს მაშინ, როდესაც მიხეილ სააკაშვილს არასდროს ავიწყდება მადლობა გადაუხადოს მეგრელებს ვარდების რევოლუციის დროს აქტიური თანადგომისთვის. პრეზიდენტი აცხადებს, რომ სამეგრელოს გინება მისთვის დედის გინების ტოლფასია, ხოლო სამეგრელოში ჩასული პირველი ლედი ხალხს მეგრულად ესაუბრება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში ეს პრობლემა დღის წესრიგში არ დადგება. იბადება კითხვა: რა იქნება მერე? არსებობს თუ არა გამოსავალი?

მიჩნეულია რომ, თუკი ესა თუ ის ეთნოსი ბუნებრივად არის მიდრეკილი სეპარატიზმისაკენ, მაშინ ამ მოძრაობის ბიძგის მიმცემი ნებისმიერი მოვლენა შეიძლება გახდეს. ზოგიერთი თვლის, რომ მეგრელები თავიანთი ბუნებით არიან სეპარატისტები და მათ მიერ დაწყებული ნებისმიერი აქცია განცალკევების ფარული სურვილებით არის პროგოცირებული. თუკი ამ მოსაზრებას დავეთანხმებით, მაშინ გამოსავალი არც არსებობს და საქართველოს წინაშე მეგრული სეპარატიზმის საფრთხე სულ იდგება. მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით შეუძლებელია მეგრულ სეპარატიზმზე საუბარი, რადგან ისტორიული მოვლენები ცხადყოფს, რომ

მეგრელთა დამოუკიდებლობით მეგრელებზე მეტად რუსეთი იყო დაინტერესებული. ეს იყო შემთხვევა, როდესაც სეპარატიზმი გამოიყენებოდა საქართველოზე ზეწოლის მექანიზმად. მართალია, თავიდან მეგრელთათვის სეპარატიზმი თავსმოხვეული მოვლენა იყო, მაგრამ დროდადრო სამეგრელოში სეპარატიზმი აქტიურდებოდა. სამეგრელოს ავტონომია, საბედნიეროდ, არ არსებობს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ მეგრელები ავტონომიის მოთხოვნაში ერთსულოფნები არასდროს ყოფილან. სეპარატისტული მოძრაობები (და ასეთი სულ ხუთი იყო) ერთმანეთის ლოგიკურ გაგრძელებას არ წარმოადგენდნენ. თითოეული მათგანი ყოველთვის თავიდან იწყებოდა და ვერასდროს ბოლოვდებოდა, თანაც მხოლოდ ენის ფაქტორმა ვერ შეძლო ხალხის დარწმუნება იმაში, რომ მართლაც სხვანი იყვნენ, სხვა განმასხვავებელი ნიშანი კი ვერ გამოიძებნა. დამოუკიდებლობა რომ ყველა მეგრელის ორგანული მოთხოვნილება ყოფილიყო, ისინი მიზანს აუცილებლად მიაღწევდნენ. სავარაუდოდ, მეგრელთა ავტონომია, ალბათ, არასდროს გვექნება, თუმცა ამის სურვილი მაშინვე იჩენს თავს, როგორც კი მეგრელები, უკმაყოფილონი იქნებიან მათ მიმართ გატარებული სახელმწიფო პოლიტიკით. ისტორიკოსები და პოლიტოლოგები ერთხმად აღნიშნავენ, რომ აუცილებლად უნდა გატარდეს საზოგადოების ეკონომიკური განვითარების შესაფერისი პოლიტიკა, რასაც თან უნდა ერთვოდეს განუწყვეტელი იდეოლოგიური მუშაობა ხალხის მასებთან. ამასთანავე აუცილებლად უნდა დათბეს ქართველებს შორის ურთიერთობა, რადგან ცივმა დამოკიდებულებამ მეგრელების მიმართ შეიძლება წარმოშეას სეპარატიზმის სინდრომი. კარგად უნდა გავაცნობიეროთ თუ ვინ ვართ, რანი ვართ და ვინ ვიქნებით უერთმანეთოდ.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. სერგი მაკალათია – “სამეგრელოს ისტორია”
2. ილია ანთელავა – “სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია”
3. ენდრიუ ჰეივუდი – “პოლიტიკური იდეოლოგიები”
4. ვლადიმერ შონია – “ბოროტების სათავე” ანუ როგორ შეთითხნეს მეგრელთა საქმე”
5. ალექსანდრე ჭავია – “რამ დაგვლუპა, რა გადაგვარჩენს”
6. ცენტრალური არქივის მასალები(ფონდი №107, საქმე №1723)
7. იაკობ გოგებაშვილი “ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში”
8. “კომუნისტი” 1985წ. №62
9. “კოლხეთის ცისკარი” 1962წ.
10. “სახალხო განათლება” 1985წ. 21/XI

11. “յոմանօսօ” 1986թ. 14 տյժերազալո
12. “Ցցօքածովո”(ԿՇԱԳՁՈԾՈ) 1957թ. 20/X
13. “Տռապուս Հեռացրեծա” 1961թ.
14. “Տայարության Ռյածակալույա” 1992թ. 12 եյլիքմերո
15. “Հոգի Երածուրայլո Տայարության” 1989թ. №51
16. “Հոգի Երածուրայլո Տայարության” 1989թ. 3/XI
17. “Աեալցաթրդա օչըրոյլո” 1994թ. 26/I
18. “Ժարության Բյալցուրայլունա” 2004թ. №2